ვედრება თაყვანისცემაა

გადმოცემულია ნუ'მან იბნ ბაშირისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) ამბობდა: «ვედრება თაყვანისცემაა», და შემდეგ წაიკითხა: «და თქვა შენმა ღმერთმა: მომიხმეთ და გიპასუხებთ! იმათ, ვისაც თავისი სიამაყით არ სურთ თაყვანი მცენ, დამცირებულნი შევლენ ჯოჯოხეთში». [ღააფირ: 60]

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) გვამცნო, რომ ვედრება არის თაყვანისცემა. ამიტომაც ყოველი ვედრება უნდა იყოს მიმართული ალლაჰისკენ, იქნება ეს ვედრება ალლაჰის მიმართ, რომელსაც მისთვის სარგებელი მოაქვს და აშორებს ზიანს, ასევე ვედრება, რომელიც ალლაჰს უყვარს და რომლითაც ის კმაყოფილია, ფარული და ნათელი სიტყვებით და საქმეებით, რომლებიც დაკავშირებულია გულთან, სხეულთან და ქონებასთან. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მოიყვანა მაგალითი მტკიცებულების სახით: თქვა ალლაჰმა: მომიხმეთ და გიპასუხებთ! იმათ, ვისაც თავისი სიამაყით არ სურთ თაყვანი მცენ, დამცირებულნი შევლენ ჯოჯოხეთში.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5496